

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „ჯეო“

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	6-17

შპს „ჯეო“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრისათვის

	შენიშვნები	2020	2019
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	714 193	736,212
სავაჭრო მოთხოვნები	4	1 811 093	1,565,397
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		862 660	533,406
მარაგები		3 740 651	3,200,417
- მზა პროდუქცია		3 730 734	3,188,931
- სხვა		9 917	11,486
სხვა მიმდინარე აქტივები	5	234 186	197,156
სხვა არამატერიალური აქტივები			-
ძირითადი საშუალებები	6	880 207	845,816
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	337,000
სულ აქტივები		8 242 990	7,415,405
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		79 463	107,194.95
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	7	915 472	1,116,899.65
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	7	88 962	204,280.90
სულ ვალდებულებები		1 083 897	1,428,376
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		200	200
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		7,158,893	5,986,830
სულ საკუთარი კაპიტალი		7,159,093	5,987,030
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		8,242,990	7,415,405

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

**შპს „ჯეო“ 2020 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის სრული
შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება**

	<u>შენიშვნები</u>	<u>2020</u>	<u>2019</u>
ამონაგები	8	9903151	8707781
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9	-6902468	-6288987
საერთო მოგება		3000683	2418794
სხვა შემოსავალი	10	142012	31390
კომერციული დანახარჯები	11	-528206	-321961
ადმინისტრაციული ხარჯები	12	-747940	-1005055
სხვა ხარჯები		0	-142642
ფინანსური დანახარჯები	13	-349226	-89750
მოგება დაბეგვრამდე		1517324	890778
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
მიმდინარე წლის მოგება		1517324	890778
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		5987031	5282569
დივიდენდები		-345263	-186316
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		7159092	5987031

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

შპს „ჯეო“
2020 წლის 31 დეკემბრისათვის საკუთარი კაპიტალის
ცვლილებების ანგარიშგება

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	200	5,987,031	5,987,031
წმინდა მოგება		1,517,325	7,504,356
სხვა სრული შემოსავალი	-		
პერიოდის სრული შემოსავალი	-	1,517,325	1,517,325
გაცემული დივიდენდი	-	345,263	
საწესდებო კაპიტალის ზრდა	0	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	200	7,159,093	5,987,031

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

1. ზოგადი ინფორმაცია

2. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯეო“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2005 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 206204204. კომპანია 2005 16 დეკემბრიდან რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი ვარკეთილის IV მ/რ, III კვარტ., კორპ. 13, ბ. 65

- ფაქტიური მისამართი: თბილისი, გუდაუთის ქუჩა 7.
- საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საყოფაცხოვრებო საქონლის და სუნელ-სანელებლების იმპორტი, წარმოება შემდგომი რეალიზაციის მიზნით.
- კომპანიის 50% -50% წილის მფლობელები და კომპანიის დირექტორები არიან მუხრან გაგნიძე და მურმან კაპანაძე.
- კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2020 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრისთვის შეადგენს 200 ლარს.

შპს „ჯეო“-ს ცენტრალურ ოფისში - თბილისში გააჩნია დიდი სასაწყობო მეურნეობა და სუნელების გადამამუშავებელი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმოო დანადგარები, აგრეთვე საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები. კომპანიას ათეულ წელზე მეტია, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (თელავი, ხაშური, ქუთაისი, ბათუმი) გააჩნია ტერიტორიული სტრუქტურული ერთეულები, საიდანაც ხდება პროდუქციის რეალიზაცია. კომპანიაში დასაქმებულია 50-ზე მეტი გამოცდილი და კვალიფიციური თანამშრომელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს. კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2020 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2020 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2019 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2020 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3,2766	4,0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8677	3,2095

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

მიწა	უვალო
შენობა ნაგებობები	30
მანქანა-დანადგარები	7
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3
სატრანსპორტო საშუალებები	7

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (7 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი

ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

აქტივების გადაფასება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

შენიშვნა 3 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
ფული საღაროში	490213	199306
ფული საბანკო ანგარიშებზე	223980	536907
სულ ჯამი	714193	736213

შენიშვნა 4-სავაჭრო მოთხოვნები

ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
	1,788,005	1,542,180
	23,088	23,217
სულ ჯამი	1,811,093	1,565,397

შენიშვნა 5 სხვა
მიმდინარე
აქტივები

ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
წინასწარ გადახდილი გადასახადები	192,392	197,156
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	272.4	
მისაღები	41521	
სულ ჯამი	234,185	197,156

შენიშვნა 6 - ძირითადი საშუალებები																					
ინფორმაცია ძირითად საშუალებებზე		პერიოდის საწყისი მონაცემები					პერიოდში განხორციელებული ცვლილებები										პერიოდის ბოლოს მონაცემები				
							შემოსავალი			გასავალი						ცვეთა					
										შესყიდვა	ეტალიზა	რეალიზაცია		სხვა							
საბალანსი	დასახელება	რაოდენობა	დირექტული	აკუმული	ნარჩენი	რაოდენობა	დირექტული	აკუმული	ნარჩენი	რაოდენობა	დირექტული	ნარჩენი	რაოდენობა	დირექტული	ნარჩენი	გაყიდვის	მიმდინარე	რაოდენობა	დირექტული	აკუმული	ნარჩენი
2110	მიწა		130927	0	130927														130927	0	130927
2130	ნაგებობები		519465	68698	450767											14487		519465	83185	436280	
2150	დანადგარები		167045	135424	31621		52424									4810		219469	140234	79235	
2154	აბმულობის		0	0	0													0	0	0	
2160	ტერულობი		57990	39559	18431		15144									5902		73134	45461	27673	
2170	დასახელება		50662	33623	17039		9982									4639		60644	38262	22382	
2171	ინვენტარი		0	0	0													0	0	0	
2180	პორტო საშუალებები		331107	183721	147386		19996			23800						13635	23152	327303	193238	134065	
2190	აღებულ		45780	0	45780													45780	0	45780	
2690	არამატე რიალუ		3,865.00	0	3865													3865	0	3865	
ჯამური მონაცემები			1306841	461025	845816		0	97546	0	0	23800	0	0	0	0	13635	52990	0	1380587	500380	880207

შენიშვნა 7-სესხები
ფინანსური
ინსტრუმენტები

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
	915472	1,116,899.00
	88962	204,280.00
სულ ჯამი	1,004,434.00	1,321,179.00

შენიშვნა 8 - ამონაგები

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
დღგ ით დასაბეგრი ბრუნვა	9,860,918	8732451
დღგ სგან განთავისუფლებული ბრუნვა	73,998	20057
დღგ ით დასაბეგრი ბრუნვა		
დღგ ით დასაბეგრი შემოსავალი მომსახურებიდან	8,835	4943
გაყიდული საქ დაბრუნება და ფასდათმობა	(50,962)	-49670
სხვა საოპერაციო შემოსავლები	10,362	
	9,903,151	8,707,781

შენიშვნა 9 -რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქცია ნედლეული და მასალები	6,614,773	6161436
საწარმოო ხელფასი	287,695	127551
ჯამი	6 902 468	6288987

შენიშვნა 10 -სხვა შემოსავალი

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
კურსთაშორის სხვაობა	72,661.50	9396
ფასდათმობა	0.00	9104
არასაოპერაციო მოგება	1,855.00	
საპროცენტო შემოსავლები	30,322.60	12891
განსაკუთრებული შემოსავლები	37,172.90	
ჯამი	142,012	31,391

შენიშვნა 11 -კომერციული
დანახარჯები

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
	142,030	8945
დისტრიბუციის ხელფასი	386,176	313016
ჯამი	528,206	321,961

შენიშვნა 12 -ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	43,133.38	75640.85
შრომის ანაზღაურება	333,612.00	264733.56
სატერმინალო მომსახურება	468.96	43222.61
საიჯარო ქირა	147,555.32	155615.6
ა/მანქანის რემონტი	25,978.08	44383.91
მიმდინარე რემონტი	19,979.00	
მივლინების ხარჯი	0.00	3250.61
საერთო გადაზიდვის -ტირისა და რეგულირების ხარჯი	987.75	10513.15
პროდუქციის სერტიფიცირება	2,256.87	3405.97
საოფისე ინვენტარი	105.09	134.57
საკასო აპარატის ტექნ. მომსახ-ბა	2,113.97	3068.49
კომუნალური ხარჯი	13,673.05	16168.58
საკანცელარიო ხარჯი	3,516.11	3689.32
ინტერნეტ მომსახურება	5,375.41	4688.01
კომუნიკაციის ხარჯები	10,974.18	12627.12
გზავნილების ხარჯი	2,319.20	3023.75
დაზღვევა	13,410.31	16258.54
გეზის მომსახურება	0.00	17596.03
კომპიუტერის ხარჯები	1,715.75	2093.2
საკონსულტაციო ხარჯები	15,900.00	33821.19
საწყობების დეზინფექცია	1,177.50	1527

მიკრობიოლოგიური ტესტირება		3,255.00	
ცვეთა და ამორტიზაცია		52,990.62	124587
ბანკის მომსახურება		22,800.80	16411.73
სხვა საგადასახადო ხარჯი		7,758.00	6211.06
1000 ლარამდე ძ/ს-ბა		959.33	1309.91
სხვა საერთო ხარჯი		15,924.00	141072.99
ჯამი		<u>747,940</u>	1005054.75

შენიშვნა 13 ფინანსური დანახარჯები

		2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
საპროცენტო ხარჯები		69 554.2	89750
არასაოპერაციო ზარალი		1 268.1	
უარყოფითი საკურსო სხვაობა		1 274.8	
სხვა არასაოპერაციო ხარჯები			
		349225.6	89750

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბრს.

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი